



ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო  
დაწესებულებათა გაერთიანება“

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო  
დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის მ.ბალანჩივაძის სახელობის  
ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის შენობის მოწყობის სამუშაოების  
სახელმწიფო შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ქუთაისი

2014 წელი

1

## სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება	4
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი	6
4. რეკვიზიტები (დანართი #1)	14
5. ფასების ცხრილი (დანართი #2)	15

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა\_ შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

## 2. ტექნიკური დავალება:

2.1 ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის შენობის მოწყობის სამუშაოების (კერძოდ ფანჯრების დემონტაჟი და მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების ხელისმოწერიდან 2014 წლის 22 მაისის ჩათვლით.

2.3 გარანტია შესრულებულ სამუშაოებზე არანაკლებ 3 (სამი) წელი.

2.4 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები იხილეთ დანართი №3-ის შესაბამისად.

2.5 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

ა) რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად;

2.6 შესყიდვის ობიექტის შესრულების ადგილი---ქ. ქუთაისი ა.წერეთლის ქუჩა #30

2.7 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ მუხლის ა-ბ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარისწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

- სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა;
- ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;
- შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.დ.გ-ს ანგარიშ-ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელისათვის).
- ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო;
- ანგარისწორების ვადაა სამუშაოს საბოლოო შესრულების აქტის დამტკიცებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;
- სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება ძალაშია მისი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება სულ მცირე 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის „წინადადების მიღება დაწყებული“ სტატუსის მინიჭების ეტაპიდან.

- **გამოყენებული მასალები:**

ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი (სერტიფიცირებული), აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პირობებში მოცემულ მახასიათებლებს და საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ერთის მხრივ, ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში “შემსყიდველი”) მმართველის ვლადიმერ პატარიძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ქალაქ ქუთაისის მერის 2011 წლის 8 ნოემბრის #2302 ბრძანება), (მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, შ.რუსთაველის გამზ.#1)

მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით, (მისამართი: \_\_\_\_\_)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

**ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6 „სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი;
- 1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## **2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი**

**2.1** ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალისმ. ზალანჩივამის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის შენობის მოწყობის (კერძოდ ფანჯრების დემონტაჟი და მონტაჟი) სამუშაოების შესრულება.

**2.2** ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

**2.3** კლასიფიკატორის კოდი – 45400000

## **3. ხელშეკრულების ღირებულება**

**3.1** ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს;

**3.2** ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## **4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

**4.1.** შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

**4.2.** შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით;

**4.3.** გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

**4.4** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

**4.5** მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

**4.6** ინსპექტირების ჯგუფი ფუნქცია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება და შესაბამისი დასკვნების გაფორმება.

## **5. სამუშაოს შესრულების ვადა**

**5.1** სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 22 მაისის ჩათვლით.

**5.2** ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 მიმწოდებელი ვალდებულია (თავის ხარჯებით) შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა ჩაატაროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“;
- 6.2 შემსყიდველის მიერ ობიექტი საბოლოოდ მიღებულად ჩათვლება მხოლოდ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;
- 6.3 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ახორციელებს ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საუფუძველდე ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველი.

## 7. ანგარიშსწორება

- 7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;
- 7.2 „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
- ა) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა
  - ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;
  - გ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ-ს ანგარიშ-ფაქტურა.
- 7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო;
- 7.4 ანგარიშსწორების ვადაა სამუშაოს საბოლოო შესრულების აქტის დამტკიცებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;
- 7.5 ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 14 ივნისის №336 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

## 8. გარანტია

- 8.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს მაღალ ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.
- 8.2 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება სამი წლით, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

## 9. ფასები

- 9.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;
- 9.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა,



რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

**9.3** ხელშეკრულების მოქმედების პირობებში დასაშვებია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით გაზრდა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში.

## **10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა**

**10.1** ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

**10.2** ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**10.3** ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

**10.4** მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს **10.3** პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

**10.5** ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **11. სუბკონტრაქტორები**

**11.1** მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში;

**11.2** ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;

**11.3** ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

## **12. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

**12.1** შემსყიდველი უფლებამოსილია:

– გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

**12.2** შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

**12.3** მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების

ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

**12.4** მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

### **13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

**13.1.** თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის სატენდერო წინადადებით (გრაფიკით) გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

**13.2.** იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

**13.3.** ამ ხელშეკრულების 13.2 და 14.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს, რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 50 (ორმოცდაათი) %-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ;

**13.4.** ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზაურებელი თანხიდან საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

**13.5.** საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითად ვალდებულებების შესრულებისადმი;

### **14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

**14.1.** ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

**14.2.** ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყოვნებლივ;

**14.3.** ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## **15. დაუძლეველი ძალა**

**15.1** მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

**15.2** თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

**15.3** მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## **16. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

**16.1** შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

**16.2** თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## **17. გადასახადები და დაბეგრა**

**17.1** მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## **18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

**18.1** წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით;

**18.2** ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

## მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

<p>ააიპ “ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება” <b>ს/კ412678348;</b></p> <p>იურიდ. მის: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3;</p> <p>ტელეფონი (0431)24 05 08</p> <p>ბანკი: სს ვითიბი ბანკი ჯორჯიას ქუთაისის ფილიალი ანგარიშის ნომერი (GE90VT0500000004543408)</p> <p>ააიპ “ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების” <b>მმართველი</b></p> <p>_____ /<b>ვლადიმერ პატარიძე</b>/</p>	
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--

## დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების ან/და დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია წერილობითი მიმართვის შემთხვევაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, შ.რუსთაველის გამზ. №1. საკონტაქტო პირი : სატენდერო კომისიის თავჯდომარის მოადგილე ლევან ხვადაგიანი T: 591 81 20 20. ელ.ფოსტა:[art.qutaisi@gmail.com](mailto:art.qutaisi@gmail.com)

## რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	
მომსახურე ბანკი:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი	

პრეტენდენტი: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

## ფასების ცხრილი

(ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა)

მ. ბალანჩივაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ფანჯრების შეცვლა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა (ლარი)		თანხა(ლარი)		ჯამი
				ერთ.ლარი	სულ	ერთ.ლარი	სულ	
1	ფანჯრების და ვიტრაჟების დემონტაჟი	კვმ	202					
2	ვიტრაჟების ნიშების ამოშენება (სისქით 12 სმ)	კბმ	2,16					
	ბლოკი	ც	224					
	სილა	კბმ	0,5					
	ცემენტი	ტ	0,17					
3	ვიტრაჟში ლითონის ბიგის მოწყობა	მ	36					
	ტრუბა კვადრატი 100 (4მმ)	მ	36					
	ჩასატანებელი დეტალი 8მმ	კვმ	1,6					
	ჩხირები	შეკ	1					
	საღებავი	კბ	6					
4	ფანჯრების, კარების და ვიტრაჟების მონტაჟი	კვმ	196,72					
	მეტ. პლასტიკის ფანჯრები, ვიტრაჟები	კვმ	173					
	ქაფი	ც	12					
	ქანჩი	ც	300					
	მეტ. პლასტიკის კარები	კვმ	6,2					
	ცენტრ. შესასვლელის რკინის დეკ. კარები	კვმ	11,9					
	რკინის კარი (უკანა)	კვმ	3,12					
5	ამოშენებული ნიშების გალესვა, გაფითხვა, შეღებვა	კვმ	20					
	სილა	კბმ	0,6					

	ცემენტი	ტ	0,2					
	შპაკლი	კბ	30					
	საღებავი	კბ	9					
	კატოკი	ც	1					
6	დაზიანებული ნიშების გალესვა, გაფითხვა, შეღებვა	კვმ	90					
	სილა	კბმ	2,7					
	ცემენტი	ტ	0,9					
	შპაკლი	კბ	135					
	საღებავი	კბ	32					
	სამალიარო კუთხოვანა	მ	360					
7	ფანჯრის რაფების მოწყობა	მ	80					
	ხის რაფა	კბმ	1					
	საღებავი	კბ	9					
8	ფანჯრებზე წყალამრიდის მოწყობა	კვმ	25,5					
	თუნუქი	კვმ	25,5					
	გერმეტიკი	მ	8					
9	ნარჩების გატანა (10 კმ-ზე)	კბმ	6					
	ჯამი							
	ტრანსპორტი	ლარი						
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	ლარი						
	სულ							
	ზედნადები ხარჯი 4%							
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება 8%							
	სულ							
	დღგ 18%							
	ჯამი							